# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 262. | კვირა, 17 ოქტომბერი 1904 წ. | გაზეთის № 2642.


## ნარო

### II*)

თედორესა და იაკინთეს შორის რაღაც საიდუმლო კავშირი დამყარდა. ისინი ხშირად მუსაიფობდნენ ხოლმე მარტოდ-მარტო და, როგორც ეტყობოდა, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მათის მუსაიფის საგანი. ზემოდ აღწერილ საღამოს შემდეგ არა ერთხელ მოდიოდა ხოლმე იაკინთე თედორესას, მიადგებოდა კარებს და დაიძახებდა:

— თედორე ხარ შინ?

— ვინ ბძანდები?—გამოეხმაურებოდა თედორე.

— მე ვარ, იაკინთე. ერთი მნახე, თუ კაცი ხარ!

თედორეც გამოვიდოდა და წავიდოდნენ ერთად მუხას ქვეშ, საიდანაც შემდეგ დიდ ხანს მოისმოდა მათი ჩუმი მუსაიფი.

„მაგინი რაცხას კას არ აპირობენ“,—შეშინებული ფიქრობდა ნარო. მართას კი, მუდამ ოჯახის საქმეებში გართულს, დროც არ ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ყველა ამაებისათვის, თუმცა ისიც კი გრძნობდა, რომ იაკინთე დიაკვანს რაღაც ახალი უსიამოვნობა შემოჰქონდა მათ ოჯახში.

საქმე კი აი რაში იყო: იაკინთე დიაკვანს ტყუილად კი არ ურჩევია თედორესათვის ნაროს გათხოვება. ან კი რას დაეძებდა იაკინთე, გათხოვდებოდა თუ არა ნარო, ის იაკინთე, რომელიც ყოველსავე საქმეს, სხვისას თუ თავისას, მხოლოდ მაშინ მოჰკიდებდა ხელს, თუ ამ საქმიდან რამე სარგებლობას მოელოდა. ნაროს გათხოვების საქმეშიაც მისმა პრაქტიკულმა გონებამ გამონახა ისეთი მხარე, რომელიც მას გულ-ნაკლულს არ დატოვებდა. იაკინთეს წინ-დაწინვე ჰქონდა გასჯილი და დამზადებული ყოველივე. ასე გასინჯეთ, საქმროც სახეში ჰყავდა, რამაც ერთი ორად გაუადვილა საქმე. გიორგი კვარტილაძე დიაღაც სანატრელი საქმრო იყო ყოველ ღარიბ გლეხისათვის: გიორგი ქუთაისში ვაჭრობდა „ბაკალიონ მაღაზიაში“. თავისი საქმე გურიაში, თავის სამშობლო სოფელში, დაიწყო პატარა დუქნით. „გოგიე წყლის ჩამურაი“, როგორც სოფელში ეძახოდნენ გიორგის, მოხერხებული კაცი გამოდგა ვაჭრობაში. განსაკუთრებით სახელი გაითქვა და სიმდიდრე მოიხვეჭა 189.. წელში როდესაც სიმინდი ფრიად გაძვირდა გურიაში და ფუთის ფასმა 80 კაპეიკამდე აიწია. წინ-დახედულმა და გამჭრიახმა



ალერსი.—სურათი ვიტონის

გიორგიმ დროზე შენიშნა, როგორ იწევდა სიმინდის ფასი და დამდეგ ივლისში იყიდა რამდენიმე ათასი ფუთი. როდესაც, აგვისტოს მიწურულში, სოფლებში სიმინდი გამოილია და ნახევარი ხალხი თითქმის დამშივდა, გიორგიმ შემდეგ

*) იხილე “ცნობის ფურცლის„ დამატება. № 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხს მიმართა: დააგზავნა ქაქეთ-იქით აგენტები, რომელთაც დაავალა სიმინდის რაც შეიძლება ძვირათ ყიდვა. იმათაც თავისი პატრონის სიტყვა სვინდისიერად შეასრულეს და, როდესაც ფუთი სიმინდის შოვნა 75 კაპ. შეიძლებოდა, ისინი 18 შაურად და მანათად ყიდულობდნენ. ასეთის ხრიკის მეოხებით, ფასმა უცებ აიწია და „გოგია წყლის ჩამურასაც“ ეს უნდოდა! მთელი თავისი სიმინდი მოხერხებულად აწეულ მაზანდაზე გაჰყიდა და კარგი 1500 მანეთიც მოიგო ამ ოპერაციის წყალობით. ამ თანხას უწინ შეგროვილი თანხაც ზედ დაუმატა, სოფელი მიატოვა და გახსნა ქუთაისში კარგი, კოხტა მაღაზია, სადაც დღესაც ვაჭრობდა. ახლა ძალიან შეძლებულ კაცად ითვლებოდა. თითონაც იცოდა თავის თავის ფასი და ისე იქცეოდა, როგორც იმის მდგომარეობაში მყოფ კაცს შეეფერებოდა. სოფელში იშვიათად მოვიდოდა ხოლმე, მაგრამ როცა კი მოვიდოდა, მის „პრაწვას“ და დიდ კაცობას საზღვარი აღარა ჰქონდა. თავის სოფლის გლეხებს თავს როდი-ღა გაუყადრებდა; ყველას აგდებულად ეპყრობოდა. როდესაც ელაპარაკებოდა ვისმეს, იმის სიტყვებსა და ლაპარაკში რაღაც ნაძალადევი, დიდკაცური კილო მოისმოდა. ლაპარაკის კილოში გიორგი აჯავრებდა ჩვენ ძველ თავადიშვილებს, მათსავით აგრძელებდა და აჭიანურებდა სიტყვებს; ალაგ-ალაგ რუსულსაც გამოურევდა ხოლმე, ზოგჯერ ისეთ სიტყვებს იხმარდა, რომელიც ლაპარაკის საგანს სრულებით არ შეეხებოდა.

ახლა გიორგი კვარტილაძე სოფელში იყო და ცხარე მოლაპარაკება ჰქონდა იაკინთესან, რომელიც ნაროს ურიგებდა საცოლოდ. იაკინთე თითქმის ყოველ საღამოს დადიოდა გიორგისას და ვახშმადაც იქ რჩებოდა ხოლმე. ის არ ზოგავდა მთელ თავის ნიჭსა და მოხერხებას, ოღონდ საქმე კარგად გაეჩარხა.

— მამა იაკინთეს გაუმარჯოს!—შეეგებებოდა გიორგი კვარტილაძე იაკინთე დიაკვანს:

— აბა, რა ახალი ნოვოსტები მოგვიტანე, იაკინთე ჯან!

— „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“, იტყვის საღმრთო წერილი, ბატონო გიორგი. „შეაკვეცდე ფრთათა მოუთმენლობასა, რათა კეთილ გეყოს შენ“,—გაუხუმრებდა იაკინთე.

— არა, ნიეტ, საქმე მაგაში კი არაა, კაცო! ჩვენ ჩვენი თავის ფასი ვიცით. თედორაი გლახის ქალს თუ ვთხოულობთ ჩვენ, ეს იმიტომ, რომ, რასაკვირველია, გვინდა მორჩილი და ქმარის ერთგული ცოლი გვყავდეს; ეხლა, რაც შეეხება, ვინაიდან ქალები ბევრია, ჩემო იაკინთე, ქვეყანაზე; ბათუმში და ქუთაისშიც რამ წეილო ქალები, თუ კაცს დასჭირდა; მაგრამ საქმეს სხვა მოხაზულობა და სხვაი, რა ქვია, პალოჟენია სჭირია, კაცო! ოჯახის ქალი, რასაკვირველია, მეუღლე-ცოლი და სხვაი ჩასტნი ქალი ერთი ხომ არაა, ბატონო! ცოლშა და უბრალო ქალს შვა დიდი განსხვავებული რაზნიცაა, ჩემო იაკინთე. ძაან ლამაზი კია, მართალი გითხრა, ჩვენი ნარო!

## წ ყ ა ლ ქ ვ ე შ მ ა ვ ა ლ ი ნ ა ვ ი



წყალ ზევით.



წყალ ქვეშ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

—ველარ მოითმენდა გიორგი:—პროსტო ანტიკ უმაღლესია—პაჟავლსტა!—ალტაცებით შემოსძახებდა გიორგი და ტუჩებს მადიანად გაასმასუნებდა.

— ქალი მზის უნახავია, ვარდია, იმას ქება აღარ უნდა, გიორგი; კალმით ნახატია! ეი გიდი, ბიჭო! რა ლხინს გავმართავთ, რა ქორწილი გვექნება! მერე! რა მეოჯახეა, რა მორჩილი, ჭინჭველას ფეხს არ დაადგამს, იმისანაი გულისაა. შეგაბეროს ღმერთმა მზე და მთვარესავით და ბედნიერება თუ სამეა, შენ კი მოგელის ბედნიერება, გიორგი. მარა მეც არ უნდა დამივიწყო, დანაპირებში უნდა გამისწორდე, „რამეთუ ძაღლნიცა ტაბლასა ქვეშე სჭამენ ნამუსრევისაგან შვილთასა“. ჰიე-ჰიე-ჰიე-ჰიე—ეშმაკურათ ჩაიცინებდა იაკინთე.

ასეთი მუსაიფი ჰქონდათ იაკინთეს და გიორგის საღამოობით.

თედორესას კი სულ სხვა ამბები ხდებოდა. ნარო თანდათან უფრო ატყობდა, რაში იყო საქმე! ღამე ძილი არა ჰქონდა, დღე კი მუდამ რაღაც ზრუნვის, წუხილის ბეჭედი ესო იმის მკრთალ სახეს. თედორე ხშირად გაურევდა ხოლმე ლაპარაკში გიორგი კვარტილაძის სახელს, აქებდა, როგორც ჭკვიანს და მდიდარ კაცს და ცალი თვალით ნაროს უყურებდა, აბა როგორი შთაბეჭდილება მოახდინოს იმათზე ჩემმა სიტყვებმაო. პირ და პირ თქმას კი ვერ ბედავდა, რადგან იცოდა თავისი ქალის ჯიუტობა და თავის ნებობა. ნარო გაქვავებულივით ისმენდა ყოველიფერს და ძალას ატანდა თავს, რომ გამომეტყველებას მისი სულის კვეთება და გიორგი კვარტილაძისადმი სიძულვილი არ გამოეხატა.

ერთ დღეს უკვე დაღამებული იყო, როცა მართამ და ნარომ ყველა საოჯახო საქმეები მოათავეს და სავახშმოდ სუფრ გაშალეს თედორეს მოლოდინში. ეს უკანასკნელი ყანაში იყო წასული. ნარო დღეს რაღაც ჩვეულებრივზე კარგ გუნებაზე იყო. ჩამოიღო კედელზე მიკიდული ჩონგური, ააწყო და ნაზის, ნელის ხმით დაიწყო:

სამარიდან წერილს მოგწერ,
თუ ამითავდა ქადაღდი.
რა უბედობა მეწია,
მტერებო, რათვერ გახარდი!
ოჯახი სარჩენი მყავდა,
სხვაც ბევრი გადასახადი;
პატიოსან კაცს მეძახდნენ,
სადაც მიცნობდნენ აქამდი.

ეს ნაროს საყვარელი ლექსი იყო „ფირალი“ კონდახიძის შესახებ „გამოთქმული“ გურიაში. ნარომ განაგრძო:

ცხრა თვალი მზეი ბრწყინავდა,
ყანაში გიახელია;
შუა დღეი რომ შეიქნა,
ოფლი დამასქდა ცხელია.
ათასმა ფიქრმა წამიღო:
ერთი მეორეს მწველია.
ღმერთო, შენ შექნილ ქვეყნის შვილს
რეიზა ასდე ხელია?

უცებ ვიღაცამ ეზოს ჭისკარი გააღო. ნარო ფეხზე წამოხტა და ჩონგური თავის ალაგს დაჰკიდა.

— მამა შენი იქნება, ნენა, ნუ გაამჯავრეფ, ჩემი ძუძუაი,—შეევედრა ნაროს მართამ.

— ხომ ხედავ, ნენა, გაჩუმებული ვარ, აფერს ველაპარიკები.

— გიელაპარიკე, ნენა, მიესიყვარულე, ცოდვაა,—მუშა კაცია.

კარები გაიღო და შემოვიდა თედორე. ის დღეს რაღაც სხვანაირი იყო. ეტყობოდა, რაღაც გადაეწყვიტა თავის გულში.



იაპონელები ბრძოლის შემდეგ·

—აბა, ქალებო! ერთი ვახშამი მაჭამეთ: ნამეტარი მოშივებული ვარ,—ვითომ მხიარულად და დაუდევრად დაიძახა თედორემ.

ნარომ უკვე „არეკილი“ ჭადი დასჭრა, და მართამ კი პატარა კედლის შკაფიდან, რომელსაც გურიაში „ოზანდარას“ ეძახიან, „ხელეური“ ყველი გამოიტანა სუფრაზე. სამნივენი სუფრას შემოუსხდნენ.

— ერთი ჭიქაში ღვინო დამისხი, ჩემი ნაროიე!—ვითომ ალერსიანად უბრძანა თედორემ ნაროს.

— იცი, მართა, ნიკიფორაის ოლღაიე რომ დუუნიშნავენ?

— ვის აწი, ა? ჩეეკითხა მართა.

— ვინცხა ბასილეთელი გრეხილაიშვილია.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნაროს ლუკმა ყელში გაეჩარა. მყისვე მიხვდა, რის მომასწავებელი იყო თედორეს პოლიტიკური ლაპარაკის დაწყება.

— კაი ბიჭიაო, ჩივიან,—უხერხულათ დაარღვია სიჩუმე თედორემ.

— ქალო! ამ ჩვენ ნაროს აღარ ვათხოვთ?—ველარ შეიკავა თავი თედორემ,—ხომ არ ვაბერებთ ამ ოჯახში, ა?

— დაბერება ღმერთმა დუუცვას, რა დროის გუშინდელი ბაღანაის დაბერებაა, ოჯო!

— ა კიდომ, ა; ქე არ გითხარი მე! თუ არ გაათხოვ, ჩაგაბერდება ხელში, აბა კაი დიემართება?—გაჯავრდა თედორე:—გავათხოვოთ, ბიძიავ, გავათხოვოთ! მიზდაც ჯობს და ჩვენდაც. მე მაგიზა კაი საქმროც მყავს.

ნარომ ყურები დაცქვიტა. გულში რაღაც უსიამოვნობამ გაჰკრა. იმან იცოდა, ვინც აყო თედორეს არჩეული საქმრო.

— უჩემოთ თედორე?—საყვედურის კილოთ შეეკითხა მართა.

— უშენოთ, თვარა მე ვიცი, დეიწუნეფ. არ მოგეწონება!—ამაყად წარმოსთქვა თედორემ.

— ვინაა, კაცო, აღარ იტყვი?

— მე ვიცი. ვინაა!

რაღაც საშინელის, თითქო საფლავიდან ამონაძახის ხმით ჩაილაპარაკა—ნარომ.

— ვინაა ჰო! –მკაცრად შეეკითხა თედორე და თვალი თვალში გაუყარა ნაროს.

— ვინაა და გოგიე წყლის ჩამურაი!

ნარო სუფრიდან წამოდგა.

თედორეს თითქო ერთი ჩაფი ცივი წყალი გადაარესო, იმნაირი შთაბეჭდილება იქონია ნაროს სიტყვებმა.

— რაიო! გოგიე წყლის-ჩამურაი? მე შენ? რავა ბედავ, ცავ! ვინაა, ცავ, წყლის ჩამურაი? მილიონის პატრონმა კაცმა შენი წაყვანა იკადროს და მადლობის მაგიორია? ეგება დასტურ ფიქრობ შენ ვარის თქმას.

—მე იმას არ წავყობი, ბაბა!—ნელა, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა ნარომ.

მართა შეშინებული უყურებდა ამ სცენას. თედორე გაცოფდა.

— ოჯო, უი! არ წახობი! არ წახობი კი არა, ორივე ხელებით წახობი! მე მინდა, რომ წახვე და კიდევაც წახობი.

— შენ თუ გინდა, ქე წახევი შენ!—მწარედ გააწყვეტინა სიტყვა ნარომ.

თედორე სულ გადაირია, პირიდან დორბლებს ჰყრიდა.

— აბა ვის წახობი, ერთი მითხარი! ვასოია გადარეულს ხომ წახობი მეთქი, ხომ?

— იგი ჩემი საქმეა.

— აი გიდი მე შენ! „ჩემი საქმეა!“ თლათ იმ გაფუჭებულის ბრალია, შენ რომ მაგისანაი ხარ დღეს! თლათ იმან გაგაფუჭა შენ. იმან ჩაგაგონა ყოლიფერი სიავე. იგია დამღუპველი, მარა არც იმას დააყარეს ხეირი: კარქათ არჩობენ ციხეში, ვენაცვალე იგენის გამჩენს. ქურდობიზა და რაზბონიკობიზა აბა კაი დიემართებოდა?

— ბაბა, შენ ტყულს ჩივი. იგი ქურდობიზა კაცს არ დუუჭირავს.

— რაიო? მე ვჩივი ტყულს? მე? აბა რაიზა გაკოჭეს, რაიზა მეთქი, ჰო? სხვაიც კი ყრია ათასი იმ მათმაშოვის ზაოდში მუშა, მარა კაცს არ დუუჭირავს. რაიზა დეიჭირეს მეთქი? გიორგი კვარტილაძეს სცვლი მილიონის პატრონ კაცს, იმ დაგლახებულში? არ წახობი და ბაწრით წაგათრევ სახტარში, გაკოჭვილს გაგაჩერეფ საკურთხევლის კარებთან.

— მასე თუა, ბაბავ, მაი საქმე კარქათ არ გათავდება, იცოდე.

ნარო ნელის ნაბიჯით გარეთ გამოვიდა. ცა ვარსკლავებით იყო გადაკაშკაშებული, აღმოსავლეთიდან მთვარეს ამოეშუქებინა და ოქროს ფრად შეეღებნა პატარა, ობოლი თეთრი ღრუბლის ქვეშა ნაწილი.

შალვა შარაშიძე

(დასასრული იქნება)

# გასართობი

ახალნაირი ტელეფონი. რადგან ტელეფონითაც შესაძლებელია სხვა-და-სხვა სენის გადადება, ინგლისში ტელეფონის ახალი მოწყობილება გამოუგონიათ. ამ ჟამად იყიდება იქ ტელეფონის დარები, რომელიც პირთან მიაქვთ ტელეფონში ლაპარაკის დროს. ამ დარში ჩასმულია წამლებში გავლებული მეორე დარი, რომელიც იღება და ისევ ისმება დიდ დარში. ლაპარაკის დროს ეს მეორე დარი წამლებში გავლებული არ უშვებს სხვა და სხვა გადამდებ სენის გადატან-გადმოტანას ერთის ადამიანისაგან მეორესთან. სხვანაირი დარიც იყიდება. დარს თავზე კრიალოსნის მარცვლის ტოლა ქინძისთავები აქვს შემოვლებული, ასე რომ დარის პირი ვეღარ ეკარება სალაპარაკოს პირს და ამ ჟამად ორი მიზანი ერთად სრულდება. არც სენი გადაედება და ხმაც კარგად ისმის.




თითქო სათქვავი სათქვავს ჰგავს, მაგრამ რა გამოდის როშვის მეტი!...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი